

შპს „მზს“

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

საწარმოს დასახელება
 ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა
 საიდენტიფიკაციო კოდი
 მისამართი
 საქმიანობის დარგი

მზს
 შპს
 203838277
 ქ. თბილისი, შეგზენკოს ქ. №5
 კომპიუტერებით და სხვა ორგტექნიკით ვაჭრობა

	31.12.2020წ.	31.12.2019წ.
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	221775	181437
სავაჭრო მოთხოვნები	208536	253972
ბიუჯეტის წინაშე გადახდილი ავანსები	6296	30601
მარაგები	595514	605208
- მზა პროდუქცია		
- სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	8889	296
ძირითადი საშუალებები	25849	23991
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1066859	1095505
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	227879	77574
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	227879	77574
საკუთარი კაპიტალი	1260	1260
საემისიო შემოსავალი		

გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	837720	1016671
გადაფასების რეზერვი		
გადასახდელი დივიდენდი		
სულ საკუთარი კაპიტალი	838980	1017931
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1066859	1095505

დირექტორი ანა ნებულიშვილი

Ana
Nebulishvili

Digitally signed by Ana
Nebulishvili
Date: 2021.09.30 17:54:33
+04'00'

**შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

საწარმოს დასახელება
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა
საიდენტიფიკაციო კოდი
მისამართი
საქმიანობის დარგი

მზს
შპს
203838277

ქ. თბილისი, მეფე მთაწმინდის რაიონი, №5
კომპიუტერებით და სხვა ორგანიზაციის მომსახურება

	ლარი 2020წ.	ლარი 2019წ.
ნეტო ამონაგები	3056726	3571992
- საქონლის გაყიდვიდან	3056726	3571992
- მომსახურების გაწევიდან		
- სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2798014	-3138329
- საწყისი მარაგები	-605208	-540627
- მარაგების შესყიდვა	-2788320	-3202910
- საბოლოო მარაგები	595514	605208
საერთო მოგება	258712	433663
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-215453	-237529
საპენსიო ანარიცხი	-2235	-2749
ცვეთა/ამორტიზაცია	-5563	-8276
იჯარის ხარჯი	-67500	-67500
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-33	-633
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-22604	-32900
სულ საოპერაციო ხარჯები	-313388	-349587
საოპერაციო მოგება	-54676	84076
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-436	-130

მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-55112	83946
მოგების გადასახადი	-18576	
მოგება/ზარალი	-73688	83946
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-73688	83946
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1017931	933985
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-105263	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	838980	1017931

Ana

Nebulishvili

Digitally signed by
Ana Nebulishvili
Date: 2021.09.30
17:55:19 +04'00'

დირექტორი ანა ნებულიშვილი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

საწარმო დაფუძნდა 1996 წლის 12 აპრილს, საფირმო სახელწოდებით შპს “მზს.”. საწარმოს დამფუძნებელი - პარტნიორია ფიზიკური პირი ანა ნებულიშვილი (პN°01027024807)

საწარმო დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 203838277; იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ. N°5
საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომპიუტერებით და სხვა ორგტექნიკით ვაჭრობა

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა **ქართული ლარი**, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე. კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი;	ევრო;
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3,2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არისა მოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ლარი
დასახელება	ნაშთი 31.12.2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	208,231
გადახდილი ავანსი	305
ჯამი:	208,536

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის

მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ :

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკური და კომერციული მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა.

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა დანადგარები	4-6
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-3
ოფისის აღჭურვილობა	2-3

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ლარი

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების სგასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს
ავეჯი ოფისისათვის	3317			1113	3317
ოფისის აღჭურვილობა (ავეჯის გარდა)	6710			2069	6710
კავშირგაბმულობის მოწყობილობა	690			80	690
სხვა აქტივი ამორტიზებადი	13274	6742		1622	13274
სულ ძირითადი საშუალებები	23991	6742		4884	25849

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ვებ გვერდის ფუნქციონალს, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. ასევე ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვადა საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღირიცხება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ლარი

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	არამატერიალური აქტივის შემოსვლა	არამატერიალური აქტივის გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს
პროგრამული უზრუნველყოფა	296			0	296
არამატერიალური აქტივი (ვებ გვერდი)	0	9272		679	8593
სულ არამატერიალური აქტივი	296	9272		679	8889

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალოშეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება არ ხდება

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

ლარი

დასახელება	ნაშთი 31.12.2020
მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	605208
მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	595514
	1,200,722

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საგადასახადო ვალდებულებები

დასახელება	ნაშთი 31.12.2020
მოგების გადასახადი	
საშემოსავლოგადასახადი	-4042
დღგ	-2254
ჯამი:	-6,296

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. შესაბამისად, კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტში

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდად გაცემის დროს. ასევე მოგების გადასახადით დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანზაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, ხარჯები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით 15/85. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არ წარმოქმნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქმნის პირობას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადი მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება

საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსოს ხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭროდასხვავადებულებები		ლარი
დასახელება		ნაშთი 31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები		205,602
მიღებული ავანსი		22,277
ჯამი:		227,879

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არა მომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესაბამისი ხელშეკრულების/საგადასახადო დოკუმენტების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან აღდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

იჯარა

ყველა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, სარგებელი, პრემია დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს. ვინაიდან საწარმოს სადარიცხო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში, ასევე ასახულია 2019 წლის 01 იანვრიდან ამოქმედებული, საქართველოს კანონში არსებული „დაგროვებითი პენსიის სქემით“ გათვალისწინებული საპენსიო ანარიცხები და 2020 წლის 1 მაისიდან საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებით გათვალისწინებული დასაქმებულების საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის და მოვლენა არამაკორექტირებელია, მაგრამ არსებითიმ ნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სხვა ხარჯები

შემენილი მომსახურების ხარჯები	ლარი
დასახელება	ნაშთი 31.12.2020
საიჯარო ხარჯი	67500
ბანკის მომსახურების ხარჯი	6306
ცვეთის ხარჯი	5563
კომუნიკაციის ხარჯი	512
კომუნალური ხარჯები	2388
დაზღვევისა და დაცვის მომსახურების ხარჯი	1770
შრომის ანაზღაურების ხარჯი	215453
საპენსიო ანარიცხი	2235
საკურსო სხვაობის ხარჯი	436
საპროცენტო ხარჯი	33
სხვახარჯები	11628
ჯამი:	313,824

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით. კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის საბანკო ანგარიშებზე და სალაროში.

ფულადი სახსრები	ლარი
დასახელება	ნაშთი 31.12.2020
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	133,221
ფული სალაროში	88,554
ჯამი:	221,775

კაპიტალი

2020 წლის 1 იანვარის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენდა 1260 ლარს. საწესდებო კაპიტალის ცვლილება საწარმოს შექმნის დღიდან არ განხორციელებულა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენას რომელიც უნდა ასახულიყო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმოს ხელმძღვანელობა და მენეჯმენტი თვლის, რომ განაგრძობს ფუნქციონირებას და განვითარებას პროგნოზირებად მომავალში.

Ana

Nebulishvili

Digitally signed by

Ana Nebulishvili

Date: 2021.10.01

11:32:23 +04'00'